ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

6 თებერვალი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 21 (10 434) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შემოვდივარ წინადადებით!

სტუდენტობა მოიცდის...

საქართველოში სპორტსმენები მუდამ იყვნენ გარემოსილნი საზოგადოებრივი ზრუნვა-ყურადღებით და ჩვენი სახელოვანი ათლეტებიც მათდამი ასეთ დამოკიდებულებას ყოველთვის მაღალი სპორტული მიღწევებით უპასუხებდნენ. ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალშიც მათ ღირსეულ პატივს მიაგებს შობელი ხალხი. მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა, ხვალ და ზეგ სამშობლოს არა მხოლოდ მეჭუხარე სახელების სპორტსმენები, არამედ სპორტული სარბიელიდან წასვლის შემდეგ განსწავლული, იმ დარგის საუკეთესო სპეციალისტები დასჭირდება, რა დარგსაც ისინი პროფესიად საბოლოოდ აირჩევენ. თავს ნუ მოვიტყუებთ, დღეს სპორტის და უმაღლეს სკოლაში სწავლის ერთმანეთთან შეთავსება არ ხერხდება, გამოსავალი კი აუცილებლად უნდა გამოინახოს. მაქვს კონკრეტული წინადადებები:

1. სტუდენტ სპორტსმენებს მიეცეთ ხანგრძლივი აკადემიური შვებულება სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით — ისინი ყველგან იასპარეზებენ თავისი უმაღლესი სასწავლებლის სახელით და მეტი საშუალება მიეცემათ სპორტში პროფესიული დაოსტატებისათვის;

2. მაღალი კლასის სპორტსმენი — აბიტურიენტი, რომლის მომზადების დონე უტოლდება პროფესიონალიზმს, გარანტირებული უნდა იყოს, რომ სპორტული მოღვაწეობის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების გარეშე;

3. უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდების წევრებს, რომლებიც გამოდიან რესპუბლიკურ სპორტულ შეჯიბრებებში, სესიები გადაუვადდეთ არანაკლებ ერთი თვისა.

ამ ღონისძიებების გატარებით, ვფიქრობ, არც ქართული სპორტი დაზარალდება, არც უმაღლესი სასწავლებლის შრომა ჩაიგლის უშედეგოდ — ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებრიობას შეემატება ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად ჩამოყალიბებული მოქალაქე. რაც მთავარია, დაცული იქნება სპორტსმენისა და სტუდენტის უფლებებიც.

რობერტ შავლაყაძე,
საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკურზრდის კათედრის გამგე, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

სპორტი — მშვიდობის დესპანი! ხშირად გვსმენია ეს სიტყვები, მაგრამ ალბათ, ძნელად წარმოიდგენდა ვინმე, სპორტს და მის საუკეთესო წარმომადგენლებს ოდესმე მშვიდობის ელჩად თუ მოვუხმობდით საკუთარ მიწა-წყალზე, მაგრამ მოვუხმეთ. უფრო სწორად, მთელ მსოფლიოში ცნობილმა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებმა თავად მოუხმეს ერთმანეთს — გუშინ დილით რესპუბლიკის სპორტსახკომში შეიკრიბნენ, მერე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ვეტერან ფეხბურთელებს შეუერთდნენ და სამშვიდობო მისიის აღსასრულებლად სამაჩაბლოს გზას გაუდგნენ. აუღელვებლად ვერ შეაკლებდი თვალს ამ საკრებულოს — ქართველები, ოსები, რუსები, სომხები... ერთ ეროვნულ გუნდად შეკრული სპორტის ვარსკვლავები სამაჩაბლოში გაემგზავრნენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ იქაურ ქართველ და ოს მოსახლეობას შორის მესამე ძალის მიერ ინსპირირებული კონფლიქტის მოგვარებაში.

რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნუგზარ ენდელაძემ ჩვენს კორესპონდენტს უთხრა: „საქართველოს სპორტულ ღირსებას ყველა რანგის ასპარეზობებში ქართველები და ოსები, ჩვენში მცხოვრები სხვა ეროვნებების წარმომადგენლები მუდამ ერთად იცავდნენ, ჭეშმარიტი ძმობისა და თანადგომის მაგალითს გვიჩვენებდნენ. ქართველი და ოსი სპორტსმენები ამ სულისკვეთებას ჩაიტანენ სამაჩაბლოში. დღეს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და მთავრობას ყველანი მხარში უნდა ამოვუდგეთ. სამაჩაბლოში სპორტსმენთა მისია აუცილებელი და დროულია“.

სპორტსმენებმა ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან პირველებმა გადადგეს ნაბიჯი, რომლის მიზანია სიმშვიდის აღდგენა სამაჩაბლოში. ამ თაოსნობას, იმედია, სხვებიც გამოეწმაურებიან — სპორტსმენები, პირველ ყოვლისა, ესტაფეტას გადასცემენ ჩვენს შემოქმედებით კავშირებს.

სამაჩაბლოში სპორტსმენებთან ერთად ჟურნალისტებიც გაემგზავრნენ.

სურათზე: საქართველოს სპორტსმენები სამაჩაბლოში გამგზავრების წინ.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

დეკეშა ბუდაპეშტიდან

მხოლოდ ფაქტი

თბილისი, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციას

გაცნობებთ, რომ დები პოლგარები ვერ შეძლებენ მონაწილეობას გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში. მისტერ ლასლო პოლგარი წინადადებას იძლევა, რომ იგი დაინტერესებულია გაიმართოს მატჩი ჩიბურდანიძესა და იუდით პოლგარს შორის. ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკაში“ გამოქვეყნდა საპრიზო თანხა 200 ათასი დოლარი.

ზოლთან ამბრესი,
უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციის გენერალური მდივანი.
ბუდაპეშტი.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ლასლო პოლგარი მოჭადრაკე ქალიშვილების მწვრთნელიცაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის სტეტი

დარგს — თავისი პროფკავშირი

ფიზიკური კულტურა და მისი ესოდენ პოპულარული შემადგენელი ნაწილი — სპორტი, კარგა ხანია მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების საერთო კულტურის დონის გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებად იქცა. საქართველოს შეუძლია იამაყოს, რომ ამ სფეროში იგი არც ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანას არ ჩამორჩება, თუმცა ეს დღესდღეობით მხოლოდ დიდ სპორტზე ითქმის. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების პერსპექტივას ჩვენში, მდიდარი ეროვნული ტრადიციების გარდა, ზურგს უმაგრებს ქართველი კაცის ბუნება, მსოფლიო კულტურულ სამყაროსთან ურთიერთობა, ორგანიზატორული ნიჭი. სამწუხაროდ, დღემდე ამ შესაძლებლობებს სრულად ვერ ვიყენებდით და ახლა ამაზე დაფიქრების დროც დადგა. ამჯერად მხოლოდ ორგანიზაციულ საკითხზე, უფრო კონკრეტულად კი საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირის შექმნის იდეაზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება.

გვერწმუნეთ, ეს არ გახლავთ კიდევ ერთი ახალი ორგანიზაციის შექმნისათვის თავგამოდება. საქმე ეხება მართლაც მეტად საჭირო გადაწყვეტილების მიღებას. ფიზკულტურისა და სპორტის სფეროს წარმომადგენლები ძირითადად კულტურის მუშაკთა პროფკავშირში არიან გაერთიანებულნი. მაგრამ მათ შეხვდებით აგრეთვე სხვა დარგობრივ პროფკავშირებშიც, თითქმის ყველგან, იმის მიხედვით, მუშაკი სახალხო მეურნეობის რომელ დარგშია დასაქმებული.

არც კულტურის მუშაკებთან, არც სხვა დარგობრივ პროფკავშირებთან სადავო არაფერი გვაქვს. ისინი, უბრალოდ, ვერ ახერხებენ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ჩვენი დარგის მუშაკებს. აღარაფერს ვამბობთ სპეციფიკაზე, რაც ერთ პროფკავშირში გაერთიანებული, მაგრამ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების ინტერესებს ერთმანეთისაგან განასხვავებს. ერთი სიტყვით, ფიზკულტურისა და სპორტის სფერო და მისი ინტერესები საერთო დინებაშია. გათქვეფილი, ცხოვრება კი პრობლემებისადმი დიფერენციულ მიდგომას მოითხოვს. განა სადავოა ის, რომ მხოლოდ ერთი დარგის მუშაკთა პროფკავშირი უფრო მობილურად იმუშავებს თავის წევრთა საკეთილდღეოდ და სოციალურ პრობლემათა გადასაჭრელად? ისიც ცხადია, რომ უცხოეთში პროფკავშირი თავისი უფლებებით ადამიანის ინტერესების ჭეშმარიტი გამომხატველი და დამცველია, ჩვენში კი სიტყვები და დაპირებები ჭარბობს. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო. საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია სრული სუვერენიტეტის მოპოვების რეალურ გზას ადგას, ახლა ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დამოუკიდებელი დარგობრივი პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნა, ვფიქრობთ, საკუთარი ხელებით შეიძლებელია. მხოლოდ ასეთმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ შეიძლება გამოხატოს სრულად თავის წევრთა ნება-სურვილი.

რას მოგვცემს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დარგობრივი პროფკავშირის შექმნა? ამ კითხვაზე უფრო წონიან და დასაბუთებულ პასუხს, ალბათ, პროფკავშირულ მუშაობაში გამოცდილი სპეციალისტები გასცემენ, ჩვენ კი ჩვენს მოსაზრებას გამოვთქვამთ. ფიზკულტურა და სპორტი დღეს ათიათასობით მუშაკს აერთიანებს. ეს, დაგვეთანხმებით, მთავარი საკითხია. ამ ადამიანებს ეხაჭიროებათ თანადგომა, სოციალური დაცვა, როგორც პირადი, ისე დარგის მთელი რიგი პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა, დაჭიანული, შეიძლება ითქვას, გაბნეული ინტერესების თავმოყრა და მისი კოორდინირებული, მიზნობრივი მართვა. უდავოა, ეს ნაბიჯი მეტ სტიმულს მისცემს ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას, სამოლოოდ გადაიჭრება სპორტსმენთა სოციალური დაუცველობის პრობლემა, რომელიც დღეს ახე აღელვებს ყველას, შემოხავალი კი მიზნობრივად დაიხარჯება.

იმედია, ეს წინადადება უყურადღებოდ არ დარჩება. ველით თქვენს გამოხმაურებას.

იყავით ფრთხილად!

ე. წ. მაგნიტური დღეები, როგორც ამტკიცებენ მეცნიერები, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მათ გუნება-განწყობაზე, გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე. ამ თვეში ასეთ დღეებად გამოცხადებულია 9, 19, 23 და 27 თებერვალი.

ერიდეთ უარყოფით ემოციებს, იყავით ფრთხილად!

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში ● ვაჟები

„დინამო“ (თბილისი) — „შაბტორი“ (ნერიუნგრი) 100:73 (37:40).

თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სახასლე. 2 თებერვალი.

„„დინამო“: უსტიაშვილი (4), ჩხეიძე (8), ხანაძე (24), თორთლაძე (8), დარსაძე, ბარამიძე, შენგელია (21), ფერიაშვილი (4), დუშვილი (21), ცხვედიანი (10).

„შაბტორი“: მერზრიაპოვი (8), შპუნტი (11), ბარანოვი (7), სოკოლოვი (6), კრილოვი (18) ტიმოშჩუკი (4), ფურსოვი (2), ტერიოხინი (8), პონომარიოვი (14).

მსაჯები: ტ. გახანოვი (ბაკო), ნ. კუბატოვი (ფრუნზე).

ქართველი კალათბურთელები, თუ არ ჩავთვლით კრასნოდარელებთან შეხვედრას, შინ წარმატებით ასპარეზობენ. ამჯერად მათი მეტოქე თითქოს არაფრით გამოირჩეოდა — ვერც თამაშის ხარისხით დაიტრაბახებდა, ვერც შედეგიანობით, მაგრამ სპორტში, მოგეხსენებათ, ხშირია მოულოდნელობანი.

ასეთ მოულოდნელობათა რიცხვს განეკუთვნება „შახტიორთან“ შეხვედრის პირველი ნახევარი. თბილისელთა გუნდში, როგორც ამბობენ, ტყორცნა თითქმის არავის „წაუვიდა“, არც გელა დარსაძეს და არც გია სანაძეს, რომ არაფერი ვთქვათ ანალგაზრდებზე — ამაზე პირველი ტაიმის ანგარიშიც მეტყველებს, რომელიც მასპინძლებმა სამი ქულის სხვაობით დათმეს.

შესვენების მერე სურათი შეიცვალა: „დინამო“ მთელი ძალით ამოქმედდა დაცვაშიც და თავდასხმაშიც, შეძლო არა მარტო ანგარიშის გათანაბრება, არამედ დაწინაურებაც და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 100:73. როგორც ხედავთ, თბილისელებმა პირველ ნახევარში მხოლოდ 37 ქულა მოაგროვეს, შესვენების შემდეგ კი — 63, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გუნდს შესწევს ძალა მაღალ შედეგებზე იფიქროს.

ამ დღეს კიდევ ერთი დებიუტანტი ვიხილეთ „დინამოს“ შემადგენლობაში — „მართვეს“ კალათბურთის სკოლის აღსაზრდელი კახა ბარამიძე, რომელიც შარშან გამართულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდა.

გვახსოვხართ, ჩემპიონებო!

გიგანტის ნაღვლიანი ღიმილი

აბაშის რაიონის სოფელ ქოლობანში დაიბადა და გაიზარდა. მეცხრე კლასამდე თანატოლი ბიჭებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. თავისუფალ დროს მათთან ერთად დასდევდა ბურთს. მერე ერთობ აიყარა ტანი. მეთერთმეტე კლასში მისმა სიმაღლემ 198 სანტიმეტრს მიაღწია. იმ წელიწადს ქოლობნელმა ბიჭებმა მოსწავლეთა რაიონულ პირველობაზე კალათბურთში მეორე ადგილი დაიკავეს. ამ წარმატებაში ლომის წილი ორმეტრიან გიგანტს ანზორ ლეჟავას ეკუთვნოდა.

რაიონულ ნაკრებში ჩარიცხეს, მაგრამ მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე ვერ გაემგზავრა, რადგან ეს ასპარეზობა გამოსაშვებ გამოცდებს დაემთხვა და მედლის კანდიდატს კალათბურთისოვის არ ეცალა. ბორჯომში აბაშელებს მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების ხელმძღვანელ მახეილ კეკელიძისთვის უთქვამთ ორმეტრიანი ბიჭი გვყავს, იქნებ გამოგადგეთო. რაიონის განათლების განყოფილებაში დეპეშა გაიგზავნა — ანზორ ლეჟავა ბორჯომს გაემგზავრა.

— ამ საკუთრორტო ქალაქში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გადიოდა საწვრთნელ შეკრებას. — იგონებს ბატონი ანზორი, — პირველსავე ვარჯიშზე ბიჭების თამაში რომ ვნახე, გული შემიქანდა. ვიფიქრე, ასე ვერასდროს ვითამაშებმეთქი. ძია მიშა უთქმელად მიმიხვდა ყველაფერს. დამამშვიდა, მთელი თვე ინდივიდუალურადაც მავარჯიშებდა. შემდეგ ლენინგრადში გავემგზავრეთ საკავშირო პირველობაზე და ჩემპიონები გავხდით. იმავე წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავირიცხე და სასწავლებლის გუნდში დავიწყე თამაში. მაშინ „ბურევესტნიკი“ საკავშირო ჩემპიონატის „ბ“ კლასში გამოდიოდა. 1957 წელს კი „ა“ კლასში თამაშის უფლება მოვიპოვეთ. უმაღლეს ეშელონში ასპარეზობა ჩვენთვის ძნელი გამოდგა. ბოლოსწინა ტურში დიდების ზენიტში მყოფ რიგის ასკ-ს ვხვდებოდით. იმ დროს ეს გუნდი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი გახლდათ, მის რიგებში გამოდიოდნენ კალათბურთის აღიარებული დიდოსტატები: კრუმინში, მუქნიეკსი, ვალდმანისი, გულბისი. გუნდს წვრთნიდა ალექსანდრე გომელსკი. წაგებით „ა“ კლასს ვემშვიდობებოდით, წარმატების შემთხვევაში კი სვერდლოვსკელებთან გადამწყვეტი მატჩის უფლება გვეძლეოდა. დაძაბული ორთაბრძოლა ორი ქულის სხვაობით მოვიგეთ. ეს ჩემპიონაციის სენსაცია იყო. მეორე დღეს სვერდლოვსკელთა კოლექტივიც დავამარცხეთ და „ა“ კლასში ადგილი შევინარჩუნეთ:

● გვსმენია, ძველი თაობის ქართველ კალათბურთელებს მსგავსი ვაუკაცობა ერთხელ გამოუჩენიათ ხარბიელზე...

— ეს ამბავი რა მოსატანია იმ სენსაციურ მატჩთან, რომელიც 1959 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე გაიმართა. ქვეყვეფის პირველ თამაშში მოულოდნელად დავმარცხდით ყაზახეთის სუსტ გუნდთან (63:64). ამან ისე გაგვირთულა საქმე, რომ ბოლო ორთაბრძოლას თუ ვერ მოვუგებდით ლატვიის ძლიერ კოლექტივს, ფინალურ ექვსეულს მიღმა ვრჩებოდით. ამ დრამატ შეხვედრის ძირითადი დრო დ ოველი ორი დამატებითი ტაიმიც ფრედ დამთავრდა. სამაგიეროდ მსაჯები „გვწყალობდნენ“ ძალიან — თორმეტიდან შვიდმა კალათბურთელმა 5-5 ჯარიმის შემდეგ მოედანი დატოვა. დაიწყო თუ არა მესამე ხუთწუთიანი რაუნდი, ჩვენი გუნდი ოთხი ქულით დაწინაურდა. მსაჯებმა ისევ ბიჭებზე იყარეს ჯავრი — მალე მოსშვილმა და უგრუნელიძემაც მაყურებლებში გადაინაცვლეს. საბედნიეროდ, გურამ აბაშიძემ, თამაზ კაკაურიძემ და ვალერი აღთაბაევმა გამოიჩინეს სპორტული გმირობა: წუთნახევრის მანძილზე ისინი ვაუკაცურად გაუძკლავდნენ ხუთ ლატვიელ ოსტატს და ორ მსაჯს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც— 88:86. ერთი გვნახათ, რა ხდებოდა ტრიბუნებზე. არ ვიცი, სხვაგან კიდევ თუ გამართულა ამგვარი სენსაციური მატჩი, მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნო: ცნობილ საბჭოთა კალათბურთელს სერგეი ბელოვს ეს ასპარეზობა მოხსენიებული აქვს თავის წიგნში, ოღონდ... ყველაფერი პირქითა აქვს მოთხრობილი — თითქოს სამ ლატვიელ კალათბურთელს მოეგოს ჩვენი სრული შემადგენლობისთვის...

● ცნობილია, რომ მსაჯებისაგან მიღებულ საჯარიმოებს აუღელვებლად ხვდებოდით, მაგრამ ერთხელ თურმე თქვენი მდგომარეობიდან გამოყვანაც მოუხერხებიათ.

— იყო ასეთი შემთხვევა 1960 წელს ტალინში, საერთაშორისო ტურნირზე. ლატვიელებს ვხვდებოდით. მოვიგებდით, პირველ ადგილზე ვავდიოდით, წაგებდით — მესამეზე, პირველ-მეორე ადგილებს კი ჩეხები და ესტონელები ინაწილებდნენ. კარგ ფორმაში ვიყავი. ტალინელმა მსაჯმა კიბიმ სწორედ მე ამომიღო მიზანში. ოთხი ჯარიმა ისე მომცა, ვერც გავიგე, რაში მიმიძღოდა ბრალი, მაგრამ ხმა არ ამომიღია. ერთ-ერთი შეტევის დროს, როცა მარტოდ-მარტო აღმოვჩნდი მეტოქის ფარეშეზე და ის იყო ბურთი უნდა მომეთავსებინა კალათში, კიბის სასტვენის ხმა გაისმა, მეხუთედ დამჯარიმა. აქ კი ამევსო მოთმინების ფიალა და მსაჯს გადმოვეკიდე. შეშინებული არბიტრი ტრიბუნებზე ავარდა და მაყურებლებს შეერია. მწვრთნელმა გიორგი ავალიშვილმა დამაწყნარა. რამდენიმე წუთში თამაში განახლდა. ჩვენმა ბიჭებმა მოიგეს ის შეხვედრა.

● ბატონო ანზორ, თბილისის „დინამოში“ ათ წელზე მეტ ხანს გამოდიოდით. ეს პერიოდი ჩვენი გუნდისთვის „უხვმოსავლიანი“ იყო. რომელ ჯილდოს გამოყოფდით უველაზე მეტად?

— ქართული კალათბურთის დიდოსტატებთან ერთად მიღწეული ყველა წარმატება ძვირფასია ჩემთვის. მათ შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედალი, ოთხი „ვერცხლი“ და ერთი „ბრინჯაო“, მაგრამ 1962 წელს ჟენევაში მოპოვებული ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მაინც გამორჩეულია. 1961 წელს ქვეყნის პირველობაზე ჩვენი გუნდი მეორე იყო, ჩემპიონი ცსკა გახდა. რადგანაც მოსკოველი არმიელები ევროპის ჩემპიონთა თასს ფლობდნენ, ჩვენ ავტომატურად მოგვეცა უფლება ამ მაღალი ჯილდოსათვის გვებრძოლა. პირველ ორ მატჩში ადგილად დავამარცხეთ რუმინეთისა და თურქეთის გუნდები. ნახევარფინალში ცსკა-სთან მოგვიწია თამაშმა. წინასწარით პირველი შეხვედრა მოსკოვში გაიმართა. ყველასათვის მოულოდნელად მასპინძლები 4 ქულით (75:71) დავამარცხეთ. აწრაალდა მთელი მოსკოვი. ატყდა ტელეფონის ზარების რეკვა მაღალი ინსტანციებიდან — გვირჩევდნენ, განმეორებითი თამაში წააგეთო — ვითომცდა მოსკოველთა გამოცდილი კოლექტივი უკეთ დაიცავდა საბჭოთა კავშირის პრესტიჟს ევროპულ სარბიელზე.

დადგა განმეორებითი მატჩის დღეც. მთელი საქართველო გვქონატის დამთავრების შემდეგ საბჭოთა საელჩოში გაიმართა ბანკეტი, სადაც ყველა გუნდის დელეგაცია მიიწვიეს. სად იყო და სად არა, როგორც ეს ზღაპარშია, ვლადიმერ უგრეხელიძემ სამზარეულოში რაკეული მზარეული აღმოაჩინა. მან რომ გაიგო ქართველები ვიყავით, ცალკე ოთახში ჩვენებური სუფრა გაგვიშალა მწვადებითა და საფერავით. რამდენიმე ჭიქის შემდეგ ღვინომ თავისი ქნა და სიმღერა შემოვძახეთ, შემდეგ ცეკვაც გავაჩაღეთ. თანდათან სხვა დელეგაციების წევრებიც შემოგვიერთდნენ. მოკრძალებული სამთავრობო ბანკეტი ქართულ ლხინად ვაქციეთ. მეორე დილით, საუზმის შემდეგ, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა სემაშკომ, რომელიც ცნობილი იყო თავისი სიმკაცრით, გამოგვიცხადა, ქართველები ჩემთან, ნომერში მოხვალთო. გურამს და ვოვას ვუთხარი, ჩვენი საკალათბურთო კარიერა დამთავრდა-მეთქი. ოთახში შეკვეთილი თუ არა, ჩვენდა გასაოცრად, იგი ღიმილით შეგვეგება და დელეგაციის სახელით მადლობა გამოგვიცხადა. დაბნეულობა რომ შეგვატყო, განგვიმარტა, ჩვენს ელჩს მოეწონა თქვენი გუშინდელი მხიარულებაო. ასე დავიმსახურეთ ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად ქეიფისათვის ოფიციალური მადლობა.

● თქვენს დროს საბჭოთა კალათბურთში ბრწყინავდნენ ისეთი ცენტრალური თავდამსხმელები, როგორებიც იყვნენ კრუმინში, პეტროვი, ოკიბნიაკი, ლიპსი, ზუბკოვი და სხვები. განსაკუთრებით რომელ მათგანთან გიჭირდათ თამაში?

— შეძლებისდაგვარად, თითოეულ მათგანს გავმკლავებივარ. ერთადერთი კალათბურთელი, ვისთანაც თითქმის ყოველთვის ვაგებდი ორთაბრძოლას, გახლდათ სვერდლოვსკელთა ცენტრალური თავდამსხმელი კანდელი. იგი სწრაფი, მოქნილი იყო, ჰქონდა ზუსტი წრიული, ეგრეთ წოდებული ესტონური ტყორცნები, აი ისეთი, იაკ ლიპსო რომ ტყორცნიდა.

● ახლა ბევრს ლაპარაკობენ საკავშირო ფედერაციებიდან გამოყოფის თაობაზე. როგორ ფიქრობთ, ჩვენს კალათბურთს დამოუკიდებლად განვითარების რა შანსი გააჩნია?

— ამჟამად საქართველოში ნიჭიერი, პერსპექტიული კალათბურთელები მრავლად არიან, მაგრამ მათს უმეტესობას ვერ ვამჩნევ იმ ენისა და შემართებას, რითაც ჩვენი თაობა გამოირჩეოდა. შეიძლება ვცდები, მაგრამ რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩვენი ბიჭები გამარჯვებისა და დამარცხების შემდეგ ერთნაირი განწყობით ტოვებენ მოედანს. რაც შეეხება დამოუკიდებლობას, დროთა ვითარებაში ეს აუცილებელია. მაგრამ, თუ ეს დღესვე უნდა მოხდეს, მარტო საკუთარი თავის ამარად, მძაფრი კონკურენციის გარეშე კალათბურთის დონე ერთობ დაეცემა. ამიტომ აუცილებელია, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან გამოინახოს საერთო ენა და ოთხივე ქვეყნის უძლიერესი გუნდების მონაწილეობით გავათამაშოთ თუნდაც „თავისუფლების თასი“. ორთაბრძოლები ოთხივე ქალაქში ჩატარდეს ოთხ ტურად, წრიული სისტემით, რომ არავინ დაიჩაგროს.

● ბატონო ანზორ, კურიოზების გახსენებასაც გთხოვთ...

— თავს თუ არ შეგაწყენთ, ორს გიამბობთ. ერთხელ, მოსკოვის ტურის შემდეგ შინ გამოსამგზავრებლად ვემზადებოდით. ბარგი ჩანთაში ჩავალაგე, სასტუმროს ნომერში დავტოვე და ვესტიბიულში ჩამოვედი. ცოტა ხნის შემდეგ სანდრო გლურჯიძე მომიახლოვდა და მეუბნება, თუ ძმა ხარ, ერთ საიდუმლოს გაგანდობ და არავის უთხრაო, ილოს (ილია ლეჟავას — ვ. დ.) ჩანთაში ორი ცალი მოსკოვური აგური ჩავუდე და თბილისამდე ვაზიდვინოთო. მე კი აღვუთქვი საიდუმლოს შენახვა, მაგრამ ავტობუსსა და აეროპორტში, სადაც ჩვენი კალათბურთელი გოგონები დაგვხვდნენ, უმალ ყველას მოვდე ეს ამბავი. ამ ოინზე მეც გულიანად ვიცინოდი. თბილისში ჩამოსულს ჩანთა ოდნავ მემძიმა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. სახლში მოვედი და გავხსენი თუ არა, რას ვხედავ, ორივე აგური ჩემს ბარგში აღმოჩნდა. მერე გავიგე, თურმე ყველას სცოდნია, ვის უნდა ეზიდა აგურები და ამიტომაც ეცინებოდათ ჩემს ნაამბობზე.

1967 წელს ცოლი შევირთე და ქორწილის გადახდა ქოლობანში გადავწყვიტეთ. დეკემბერი იყო. შაბათს ნაშუადღევს „ესკორტით“ გავემგზავრეთ დასავლეთისკენ. თბილისში ფიფქი ცვიოდა, გორში რომ ჩავედით, უკვე ხვავრიელად თოვდა, რიკოთის უღელტეხილზე გადასვლა შეუძლებელი იყო. იძულებულნი გავხდით, მთელი მაყრიონით მოსკოვის მატარებელს გავყოლოდით სამტრედიამდე. მუხიანს რომ მივუახლოვდით, დენი გამოირთო და მატარებელი გაჩერდა. კვირა დილით 9 საათისათვის ძლივს ჩავატწიეთ ქოლობანში. ჩვენებს თურმე იმ ღამითვე გაუგიათ, რომ დიდთოვლობის გამო ვერ ჩამოვდიოდით და სიძე-პატარძლის გარეშეც კარგად მოულხენიათ. გვიანობამდე შემორჩენილ მოქეიფეებსღა მივუსწარით.

● საწვრთნელი შეკრებებისა და შეჯიბრებების გამო ხშირად გიწევდათ ოჯახთან განშორება. ოდესმე მეუღლეს ხომ არ დასცდენია ან მე, ან კალათბურთიო?

— რას ამბობთ, ხშირად თამაშებსაც ესწრებოდა და წაგების შემდეგ მამხნევებდა კიდეც.

● და მაინც, ალტერნატივის წინაშე რომ დაეყენებინეთ?

— შე კაი კაცო, ამ სიბერეში ცოლს გინდა გამყარო?! — ჩაიღიმა ბატონმა ანზორმა, სკამის საზურგეს მიეყრდნო, სიგარეტი გააბოლა და მზერა ჭერს მიაპყრო. სახეზე ნაღვლიანმა ღიმილმა გადაურბინა. ალბათ, თავისი სიჭაბუკე თუ გაიხსენა, უპრეტენზიო მოსვლა ქართულ კალათბურთში, მისთვის გაწეული ჯაფა, დაღვრილი ოფლი და ასევე უპრეტენზიოდ, ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე წასვლა დიდი კალათბურთიდან, ანუ იმგვარი „მიბრძანება“ კაცისა სარბიელიდან, ჩვენ, ქართველებს, რომ „გვეხერხება“.

ვაჟა დანელია

მხოლოდ თბილისელები

თებერვლის ქარსა და სუსხს ხადედოფლო ამინდი არ ეთქმის, ამდენად არც ამ დღეებში თბილისის ეროვნულ სტადიონზე გამართულ მტყორცნელთა რესპუბლიკურ პირველობაზე უნდა გვქონოდა მაღალი შედეგების იმედი, და მაინც...

შეჯიბრების ყველა სახეობაში თბილისელებმა იმარჯვეს და, რამდენიმე საყურადღებო შედეგსაც მიაღწიეს: ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნაში 41 მ 70 სმ-ით კარგა

ხანს ლიდერობდა „მართვეს“ წარმომადგენელი დავით ჯარაშნელი, მაგრამ ბოლო, მეექვსე ცდაზე ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტმა მიხეილ მესხმა („შევარდენი“) 45 მეტრსა და 52 სმ-ზე გაგზავნა ბადრო და გაიმარჯვა კიდეც. მესამე ადგილზე გავიდა 17 წლის გოგა ბეჟაშვილი („მართვე“, 38 მ).

ქალთა ტურნირში ეულად ასპარეზობდა იუნიორთა საკავშირო ნაკრების წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ნინო ონაშვილი, რომელმაც 47 მ და 26-სმ აჩვენა. ამ გზაფხულზე იგი კონტრაქტით გაემგზავრება იუგოსლავიაში. სხვათა შორის, ჩვენი უძლიერესი უროსმტყორცნელები: იოსებ შავერდაშვილი და ლერი ჩიტაიშვილი უკვე იქ იმყოფებიან და ამიტომ შეჯიბრება უროს ტყორცნაში თბილისში არ გამართულა. იუგოსლავიაში იასპარეზებს მაია აზარაშვილიც.

ქალთა შორის შუბის ტყორცნაშიც ერთადერთი მონაწილე იყო მაკა თიგიშვილი, რომელმაც 47 მეტრზე გაგზავნა იარაღი.

ვაჟთა შორის პრიზიორები გახდნენ: 1. სიმურ ქორთიევი („შევარდენი“) — 70 მ 10 სმ (ეს ოსტატობის კანდიდატის ნორმაა); 2. ალექსანდრე ცხოვრებაშვილი („მართვე“) — 52 მ 60 სმ; 3. გაბრიელ ჭარელაშვილი („მართვე“) — 50 მ. 50 სმ.

11-12 მაისს საქართველოს მტყორცნელები დაბა ლესელიძეში გამოვლენ გენერალ-ლესელიძის საკავშირო მემორიალზე.

ხათუნა ბეჟაძე

სურათებზე: ნინო ონაშვილი და მიხეილ მესხი.

ვიქტორ ბუკინის ფოტოები.

60-იანი წლების დამდეგი. თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ამხანაგური შეხვედრის მომენტი: იურის კალნინში (№ 5), ვიქტორ ზუბკოვი (ზუბში) და ანზორ ლეჟავა (№ 10).

გუშინ...

ლენინგრადში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის IV ტური. პირველ შეხვედრაში თბილისის „ქარიშხალი“ დამარცხდა ასტრახანის „დინამოსთან“ — 22:31. (ო. ნოზაძე, ტელეფონით).

არა მხოლოდ შედეგისთვის...

შარშანდელი საფეხბურთო სეზონი სოხუმელ მიხეილ ჯიშკარიანის სპორტულ ბიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა. თუმცა, მანამდე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლისთვისაც არ გამოინახა ადგილი რესპუბლიკის I გუნდში, ერთგვარ „მოხეტიალე ფორვარდად“ იქცა. ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებამ კი მიხეილ ჯიშკარიანი იმ ფეხბურთელად აქცია, ნებისმიერი გუნდი რომ ინატრებდა. აკი ხლავა შეტრეველმაც აღნიშნა თავის ინტერვიუში, მაგ ბიჭს კოჭებში ეტყობა ქართული ფეხბურთის ტრადიციების გაგრძელება რომ შეუძლია, ეგაა, ცოტა სუსტია. ფიზიკური ხისუსტისა რა მოგახსენოთ, ის კი ცხადია: მ. ჯიშკარიანმა სოხუმის „ცხუმის“ შემადგენლობაში არაერთი მატჩი ითამაშა მაღალპროფესიულ დონეზე, რამდენიმე ეფექტური გოლიც გაიტანა და გულშემატკივართა სიმპათიებიც დაიმსახურა. სწორედ ამიტომ რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციამ მიხეილ ჯიშკარიანი საქართველოში 21 წლამდე ასაკის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა, ხოლო რესპუბლიკის 22 საუკეთესო ფეხბურთელს შორის თავის ამპლუაში საუკეთესოდ მიიჩნია. წოდებები და დამსახურებები იქით იყოს — ახალგაზრდა სპორტსმენისთვის ხომ მთავარი ხაყვარელი საქმის ერთგული სამსახურია და გასულ სეზონში სოხუმის „ცხუმი“ საიმედო და საინტერესო თამაშს რომ აჩვენებდა მაყურებელს, ამაში ლომის წილი მიხეილ ჯიშკარიანსაც უძევს.

● მიხეილ, გულშემატკივრებმა ალბათ არ იციან, როგორ მოხვედით ფეხბურთში — ეს ხომ თქვენი პირველი ინტერვიუა — ასე რომ, ჯობს ამით დავიწყოთ.

— ბედნიერი ვარ იმით, რომ დავიბადე ისეთი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქალაქში, როგორიც სოხუმია. ფეხბურთის ანბანს გაგრაში, უფრო სწორად კი, ბიჭვინთაში დავეუფლე, სადაც იმჟამად ცხოვრობდა ჩემი ოჯახი. აქ ყველა პატარა ბიჭუნას ოცნება კოპლებიანი, ჭრელი ბურთი იყო. სერიოზული ვარჯიში ექვსი წლისამ დავიწყე გაგრის საფეხბურთო სკოლაში ჩემს პირველ და დაუვიწყარ მწვრთნელთან გოგი იაშვილთან, კაცთან, რომელსაც ვუმადლი დღეს ჩემს ფეხბურთელობას და რომელმაც შეძლო ჩემი ნიჭი და უნარი სწორი გზით წარემართა. ამის შემდეგ გაგრას კარგა ხანს არ მოვშორებივარ, ადგილობრივ „დინამოს“ შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონატში გამოვდიოდი, მაშინ გუნდს აწ გარდაცვლილი რევაზ წოწორია წვრთნიდა. 1987 წლის დასაწყისში კი, თვრამეტი წლისა, დასავლეთ საქართველოს ოცდასამ წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრებშიც ამიყვანეს.

● თქვენ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ნაკრების წევრიც იყავით და უცხოეთის სტადიონებზეც გამოსულხართ...

— მართალი ბრძანდებით. 1987 წელს „დინამოს“ ჭაბუკთა საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობა მივიღე უნგრეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც მესამე ადგილი დავიკავეთ. ამავე წელს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კერძოდ კი ზაარბრიუკენში გამართულ ტურნირზე, პირველი ადგილი მოვიპოვეთ. ჩვენი მწვრთნელი მაშინ ბატონი შოთა ჭეიშვილი გახლდათ. ეს ასპარეზობა ხშირად მახსენდება და არა მარტო იმიტომ, რომ აქ შვიდი ბურთი გავიტანე და ბომბარდირი გავხდი, არამედ იმიტომაც, რომ აქ ისეთ ძლიერ გუნდებს ვაჯობეთ, როგორიცაა „კიოლნი“, „ბავარია“, „აიაქსი“. რასაკვირველია, ამ კლუბების ჭაბუკთა გუნდებს ვგულისხმობ.

● 1987 წლის საფეხბურთო სეზონი არანაკლებ საინტერესო გამოდგა თქვენთვის — ამ წელს გამოვლინდა სრულად თქვენი ნიჭი. ასეთ დროს რუხეთის გუნდების ხელმძღვანელები ჩახაფრებულები არიან, რათა გადაიბირონ ჩვენი ფეხბურთელები. რამდენიმე მათგანი წამოეგო კიდეც ამ ანკესს. თქვენთვის თუ შემოუთავაზებიათ მსგავსი წინადადება?

— დიახ, მქონდა ერთი ასეთი წინადადება: ზუსტად 1987 წელს მოსკოვის „დინამოში“ მიმიწვია ფედულოვმა, მაგრამ მე მტკიცე უარი განვუცხადე. არასოდეს მომწონდა ძალისმიერი ფეხბურთი, ისეთი, როცა გამარჯვებისათვის ყველაფერს კადრულობენ. სიამოვნებას მანიჭებს ის ფეხბურთი, რომლის ტრადიციებზეც აღვიზარდე და საქართველოს რომელიმე საუკეთესო გუნდში თამაშიც სრულიად მაკმაყოფილებს.

● იმავე წელს თქვენ აღმოჩნდით კიდეც საქართველოს პირველ გუნდში...

— დიახ, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ პატარა ვიყავი და ვშიშობდი, შევძლებდი თუ არა ასეთი რანგის კლუბში თამაშს და იმ ხალხის იმედების კამართლებას, ვინც გუნდში მიმიწვია. ესენი კი კახი ასათიანი და გივი ნოდია იყვნენ. იმავე წელს, სეზონის ბოლოს, გერმანე ზონინმა რამდენიმე მატჩში ძირითად შემადგენლობაშიც გამომიყვანა, რამაც, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა — მაშინ ხომ „დინამოში“ საკმაოდ გამოცდილი ოსტატები თამაშობდნენ. თუმცა, ამ მატჩებმა საკუთარი ძალების რწმენა შემმატა და გარკვეულად გამომაწრთო კიდეც. 1988 წელს კი, გუნდის ხელმძღვანელობის შეცვლისთანავე, რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად თბილისის „დინამოდან“ ჯამაშუს ვითამაშე „აითუმის“ „ლენინგორში“, ეროვნული ჩემპიონატ სამტანაოს „სანავარდოში“ დავიწყე. რამდენიმე ტურის შემდეგ, კი, სეზონის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შექმნილ სოხუმის „ცხუმში“ გადმოვედი.

● როგორ შეხვდით გადაწყვეტილებას, გამართულიყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი?

— სიმართლე რომ გითხრათ, ნამდვილად გამიხარდა. იცით, რუსეთის გუნდებთან თამაშის დროს ჭირადად მე სიამოვნებას ვერ ვგრძნობდი, რადგან მათგან განსხვავებით ჩვენ სულ სხვაგვარად გვესმის ფეხბურთი, ხშირად შედეგისთვის კი არა, სიამოვნებისთვის ვთამაშობთ.

● თუ შედეგს თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ რატომ კამათობთ ხშირად მსაჯებთან?

— როცა მცველი უხეშად მეთამაშება, მსაჯი კი ამას ხედავს და სათანადოდ არ სჯის მას, მაშინ ვიწყებ „დიალოგს“ არბიტრთან. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, ეს ყველაფერი ზედმეტი ნერვულობიდან მომდინარეობს და, ვფიქრობ, მსაჯებიც გამიგებენ. ვეცდები მომავალში უფრო თავშეკავებული ვიყო.

● როგორია მიხეილ ჯიშკარიანი მოედნის მიღმა?

— ჩემი „პროფესიის“ გამო, თითქმის არ მაქვს თავისუფალი დრო. ვსწავლობ სოხუმში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. „საფეხბურთო არდადეგებისას“ „დრო ვიხელთე“ და დავოჯახდი. ჩემი მეუღლე, თამრიკო ვარდოსანიძე, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია.

● ტრიბუნები როგორ მოქმედებს თქვენზე?

— რასაკვირველია, როცა ტრიბუნებზე გულშემატკივარი მრავლადაა, თან იგი ობიექტურია, ეს ძალას მმატებს და ბრძოლისათვის მაგულიანებს.

ესაუბრა
თენგიზ პაპკორია.

„კოკა კოლა“ ადასტურებს

ფირმა „კოკა კოლამ“ კვლავ დაადასტურა, რომ 2000 წლამდე ფიფა-ს ერთ-ერთი მთავარი სპონსორი იქნება. უფრო ხანგრძლივ ხელშეკრულებებს „კოკა კოლას“ „იმპერია“, რომელსაც წარმოუდგენელი ფინანსური შესაძლებლობები აქვს, ჯერჯერობით არ დებს.

• • •

● ლონდონი. 38 წლის კამერუნელმა ფეხბურთელმა როჟე მილამ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. იგი კვლავ გამოვა კამერუნის ნაკრების შემადგენლობაში, ამჯერად ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ, რომელიც დღეს გაიმართება ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე.

კამერუნის წამყვან ფეხბურთელთაგან, რომლებიც იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოდიოდნენ, ლონდონში არ ჩამოვა მხოლოდ დაშავებული სირიელ მაკნაჯი.

შეგახსენებთ, რომ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლისელებმა კამერუნის ნაკრებს მხოლოდ დამატებით დროში მოუგეს — 3:2.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

ყველანი, სან-მარინოს გარდა

II ჯგუფი

	თ.	ბ.	ქ.
შოტლანდია	3	5-3	5
შვეიცარია	3	7-2	4
ბულგარეთი	3	4-3	3
რუმინეთი	3	7-5	2
სან-მარინო	2	6-10	0

ჯერჯერობით ჯგუფში ჩატარებული მატჩებიდან ყველაზე დიდი მოულოდნელობაა რუმინელების მარცხი. ის რომ მათ გლაზგოში წაგებს (1:2) შოტლანდიელებთან, კიდევ არაფერი. მაგრამ აი, 17 ოქტომბერს ბუქარესტში, 25 ათასი მაყურებლის თანდასწრებით მასპინძლები სასტიკად დამარცხდნენ (0:3) ბულგარელებთან, რომლებიც, წარსული შეხვედრებით თუ ვიმსჯელებთ, მათთვის მაინცდამაინც საშიში მეტოქეები არ იყვნენ. ამჯერად ივან ვუცოვის „ბიჭებმა“, ყველასაოვის მოულოდნელად, დიდ უპირატესობას მიაღწიეს. გოლები გაიტანეს სირაკოვმა, ტოდოროვმა და კოსტადინოვმა. მოვუსმინოთ რუმინელ კომენტატორს ზიკა დურკოლესკუს: „ამ მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუმინელთა ახალი მწვრთნელი გეორგე კონსტანტინი დიდხანს ვერ შეინარჩუნებს თავის თანამდებობას. ჩვენმა ნაკრებმა უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის დროს გაგვაოცა, ახლაც ყველა ვარსკვლავმა (ჰაჯი, ლეკეტუში...) ითამაშა, მაგრამ საკუთარ მინდორზე ბუქარესტში ნამდვილი ნოკაუტი მიიღო. ამჟამად ისინი ევროპული ფეხბურთის „მესამე კატეგორიის“ თუ მეეკუთვნებიან“. მართლაცდა, ასეთი ორი შედეგის შემდეგ, ვიღას აინტერესებდა მოგება სანმარინოელებთან (6:0), გუნდთან, რომელიც თავიდან ბოლომდე წმინდა წყლის მოყვარულებისაგან შედგება.

იმავე დღეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩს გლაზგოში (მას 20540 მაყურებელი დაესწრო) შოტლანდიელებსა და შვეიცარიელებს შორის. გასაგებია, რომ ორივე გუნდს ფინალში გასვლის პრეტენზია აქვს. შოტლანდიელებმა, რომლებიც, როგორც გახსოვთ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ნაწილშიც თამაშობდნენ, შემადგენლობა ერთგვარად შეცვალეს: აღარ თამაშობენ მეკარე ლეიტონი და თავდამსხმელი ჯონსტონი. მასპინძლებს, რომელთაც კვლავინდებურად ენდო როქსბურგი წვრთნის, ძალიან გაუჭირდათ, და, კომენტატორ ბობი ბრაუნის აზრით, ვერც მოიგებდნენ, ფინელი ჰალსის აშკარად არაობიექტური მსაჯობა რომ არა: მას შემდეგ, რაც ცნობილმა თავდამსხმელმა მაკკოისტმა 24-ე წუთზე ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი, სულ რაღაც ათი წუთის შემდეგ, ამჯერად აშკარა სიმულაციით, მან ერთხელ კიდევ „გამოიგონა“ იგი“. მაკალისტერის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა, საბოლოო შედეგმა კი (2:1 შოტლანდიელების სასარგებლოდ) ყველა ექსპერტი აღაშფოთა. ასეა თუ ისე, ახლა შოტლანდიის ბაკრები ლიდერობს, არაერთი ფრიად გამოცდილი ოსტატიც ჰყავს, მაგრამ მისი თამაში სპეციალისტებზე დიდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. აი, შვეიცარიელების გუნდს კი, აშკარა პროგრესი ეტყობა, რაც ახალი მწვრთნელის, წარსულში კარგად ცნობილი გერმანელი ოსტატის, ული შტილიკეს დამსახურებაა. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია სტუმრად სანმარინოელების დამარცხებას (4:0), მაგრამ ბულგარელებთან მოგება (2:0), თუნდაც მინ, უდავო წარმატება იყო. შვეიცარიელების გუნდში არაერთი ფეხბურთელია, რომელიც რამდენიმე წელია ნაკრების წევრია, მაგრამ შტილიკემ ახალგაზრდებიც დააწინაურა. ნაკრებში ადგილი დაიმკვიდრა თურქმა ფეხბურთელმა თურქილმაზმა, ცხადია, მოქალაქეობის მიღების შემდეგ. კარგ ოსტატებად ითვლებიან ეგლი, სუტერი, მაგრამ გუნდის ყველაზე უფრო ცნობილი წევრი მაინც ნახევარმცველი ჰერმანია, ერთადერთი „ასიანთა კლუბის“ წევრებიდან, რომელიც ჯერ კიდევ არ ტოვებს სარბიელს.

ერთი სიტყვით, ჯგუფის 5 ნაკრებიდან ოთხს (ჯერჯერობით რუმინელებსაც) ფინალში გასვლის მეტ-ნაკლები შესაძლებლობები აქვს. 27 მარტამდე შესვენებაა. ამ დღეს შოტლანდიელები ბულგარელებს უმასპინძლებენ, რუმინელები კი სანმარინოს ესტუმრებიან. ჩვენს მეტოქეებს რა უჭირთ — წერენ რუმინელი ჟურნალისტები — ჩვენ კი გეორგე ჰაჯი მადრიდის „რეალს“ დავუთმეთ, მარიუს ლეკეტუში — „ფიორენტინას“, სილვიო ლუნგი — „ლონგრონესს“ (ესპანეთი), იოსებ როტარიუ — „გალათასარაის“, გავლი ბალინტი — „ბურგოსს“ (ესპანეთი)“. საქმე ის არის, რომ ამ ცნობილ ოსტატებს კლუბები ხან ათავისუფლებენ, ხან — არა, ჰაჯისა და ლეკეტუშს თავიანთ პრეტენზიულ კლუბებში საქმეს რა გამოულევს. სან-მარინოსთან თამაში რა სახსენებელია და გეორგე კონსტანტინმა კარგა ხანია სთხოვა „რეალსა“ და „ფიორენტინას“, 3 აპრილისთვის, როცა სტუმრად უნდა ვეთამაშოთ შვეიცარიელებს, არ დამაღალატოთო.

ბიბი თორელი

ისევ შენი „გუშინდელი ჭაბუკები“!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წარმატება საქართველოს კრივს არ ახსოვს. კერძოდ, საკავშირო პირველობიდან ასეთი ნადავლით — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით აღრე ჩვენი სპორტსმენები არ დაბრუნებულან. მართალია, ანლა გვყავს ორი მსოფლიო და რამდენიმე ევროპის ჩემპიონი, საკავშირო ჩემპიონატების გამარჯვებულნიც, მაგრამ, საქმე ის არის, რომ ეს საკმაოდ შთამბეჭდავი წარმატებები ჭაბუკ და იუნიორ მოკრივეებზე მოდის. დიახ, ჩვენი გულშემატკივრი კარგად იცნობს კახაბერ ბარავის, აკაკი კაკაურიძეს, პაატა გვასალიას, რამაზ ფალიანსა და სხვებს, რომლებიც სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებიდან უმეტლებოდ არ დაბრუნებულან, მაგრამ, ვიმეორებთ, დღემდე ეს ხდებოდა ჭაბუკთა ასპარეზობებში. ამდენად, ბევრი იქნებ ეჭვის თვალით უყურებდა ამ დღეებში „ყაზანში გამართულ საბჭოთა კავშირის 57-ე ჩემპიონატში მათ გამოსვლას. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ჩვენი მოკრივეები საკმაოდ „უდიერად მოექცნენ“ ტიტულოვან მეტოქეებს და მათმა შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

საზოგადოება „მართვეს“ აღზრდილს, ქვემსუბუქი წონის კახაბერ ბარავის ჭაბუკთა რინგზე გამოსვლასას რეგალიები არ აკლდა. იგი იყო სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, შარშანდელი ევროპისა და მსოფლიო პირველობის ჩემპიონი და მაინც გვეგონა, რომ დიდ რინგზე მისი „გადასვლაც“ (რაც ხშირად ჭაბუკთათვის მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს) უფერულად ჩაივლიდა. სხვათა შორის, კახას დებიუტი მოზრდილებში მიზნად ისახავდა ორადორ ბრძოლას. ამიტომაც მისმა თანატოლებმა — ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა (მათ რიგებში არიან რამაზ ფალიანი და აკაკი კაკაურიძე) ჩემპიონატში ორ-ორი ბრძოლა გამართეს, გამოეთიშნენ ტურნირს და ახლა ინდონეზიაში იმ-

კახაბერ ბარავი

ყოფებიან საასპარეზოდ. ისიც უნდა ითქვას, რომ ბარავის ამჯერად საქმე ექნებოდა კრივის ელიტის წარმომადგენლებთან, მსოფლიოს, ევროპის პირველობებისა და კეთილ ნების თამაშების პრიზიორებთან და გამარჯვებულებთან. დიახ, პირველსავე შეხვედრაში მას წინ აღუდგა ჩელიაბინსკელი მსოფლიო თასის ფინალისტი სერგეი გალიკიევი, კახამ საკმაო უპირატესობით დაჯაბნა იგი. მან მეორე ბრძოლაც გროზნოელ ოსტატ იუნუს ჯამალდაევს დამარცხებელად მოუგო და თითქოს ამით ამოწურა თავისი მისია — ტურნირს უნდა გაშოთიშვოდა. მაგრამ სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელის კონსტანტინე კობცევის მოთხოვნით, თბილისელმა გაგრძელა ბრძოლა და ნახევარფინალში დაჭარცხა ლენინაკანელი ტიგრან ოჰანესიანი (მეტოქემ მესამე რაუნდში უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე). სამაგიეროდ, ბარავის ძნელი შეხვედრა ელოდა ფინალში, სადაც მის წინააღმდეგ გამოდიოდა სსრ კავშირის ჩემპიონი, ადგილობრივი მოკრივე ფაატ გატინი. კ. ბარავი არც ამჯერად შედრკა, ღირსეულად გაამარჯვა „საშშ“ მეტოქესთან და უძლიერესის სახელი მოიპოვა.

— წელიწყრა ისე „აეწყო“, — წერს „სოვეტსკი სპორტის“ კრივის ცნობილი მიმომხილველი ლევ ნიკოლოვი, — რომ ფინალურ შეხვედრებში მეტწილად ხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების მებრძოლები ხვდებოდნენ ერთმანეთს და ყველა ამ ორთაბრძოლაში, ერთადერთის გამოკლებით, ახალმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

გამონაკლისი, ვიმეორებ, იყო და ფინალური ასპარეზობის კომენტარიც სწორედ ამით, ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონის ფაატ გატინისა და 19 წლის იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონის კახაბერ ბარავის შეხვედრით უნდა დავიწყო. თითქოს ყველაფერი გატინის მხარეზე იყო — მაღალი ტიტულიც, მშობლიური კედლებიც და მთელი დარბაზის თავგამოდებული გულშემატკივრობაც. მაგრამ რინგის მასპინძელმა ვერაფერი გააწყო თბილისელი სტუდენტის მიერ შერჩეულ უნადო ხაბრძოლო გეგმასთან, რომელიც შეუცდომელ „კონტრთამაშზე“ იყო აგებული. ამგვარად, 18 წლის შესვენების შემდეგ, საქართველოს კვლავ მყავს ჩემპიონი ამ წონით კატეგორიაში (ავტორი ა. ხიზანიშვილს გულისხმობს, მაგრამ ამირანმა 1978 წელს მჩატე — 54 კგ-ში გაიმარჯვა — უ. ჯ.). ამას გარდა, რესპუბლიკის აქტივშია ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც. ვფიქრობ, ეს ქართული კრივის თავისებური რენესანსია.

საქართველოს კულტურის ფონდის მრავალდარგოვანი ასოციაცია — „ორიენტი-90“, რომელიც ქუთაისელ მოკრივეებს სპონსორობს, რიონისპირა ქალაქში აშენებს კრივის დარბაზს, ამასთან, მოკრივეთა შეკრება-ასპარეზობაზე გამგზავრებაც უზრუნველყო ფინანსურად და ამაოდაც არ გარჯილა. ამ ქალაქში აღზრდილ 67 კგ წონის მოკრივე თენგიზ მესხაძე, რომელმაც შარშან რამდენიმე საკავშირო და საერთაშორისო ტურნირში ისახელა თავი, ყაზანის ორთაბრძოლებშიც წარმატებით ჩაება. მან ჯერ დაამარცხა ერევნელი სმბატ ბაღდასარიანი, მომდევნო ბრძოლაში სძლია კეთილ ნების თამაშების პრიზიორს, ლენინგრადელ რობერტ იმამოვს. გამარჯვებულს არც ნახევარფინალში ელოდა იოლი მეტოქე — მსოფლიო თასის პრიზიორი მარიუპოლელი ევგენი ზიკოვი. ქართველმა მოკრივემ ეს წინაღობაც გადალახა და ფინალში გავიდა. დასკვნითი ბრძოლა კი სსრ კავშირის ჩემპიონ ვლადიმერ ერეშჩენკოსთან, რომლის ანგარიშზეა კეთილ ნების თამაშებსა და მსოფლიო თასზე მოპოვებული სპრიზო ადგილები, ვორონეჟელის გამარჯვებით დამთავრდა. თ. მესხაძემ (მისი მწვრთნელები არიან: კ. შავგულიძე და ვ. ბურჯანაძე) ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

კარგა ხნის შესვენების შემდეგ, გულშემატკივრებს კვლავ შეახსენა თავი კრივის მესტიის სკოლის აღზრდილმა — თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა ზურაბ ფალიანმა, რომელიც 75 კგ წონის მოკრივეთა შორის იბრძოდა. მან გაიმარჯვა მოსკოველ ალექსანდრ ბურლაკოვთან და ვოლგოგრადელ იგორ კშნინთან. ნახევარფინალური ბრძოლა კი დათმო უზბეკეთის წარმომადგენელ იგორ ბუნინთან და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

უშანგ ჭიჭინაძე

თენგიზ მესხაძე



ზურაბ ფალიანი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

პრეტენდენტთა მერვედფინალური ჭიდაობა ბალრაკში

„ძირითადი დრამატიკა“

დღეისათვის ცნობილია პრეტენდენტთა მეოთხედფინალური ასპარეზობის ოთხი მონაწილე: მსოფლიო ექსჩემპიონი კარპოვი, ივანჩუკი, ანანდი და ტიმანი.

ტიმანმა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეძლო, ბოლოს და ბოლოს, ჰიუბნერის წინააღმდეგობის დაძლევა. ეს მატჩი ვადაზე ადრე დამთავრდა. უკანასკნელი, მერვე პარტიის გათამაშება აღარ გახდა საჭირო — 4,5:2,5.

დანარჩენი 4 მატჩი გრძელდება. დოლმატოვ-იუსუპოვის შეხვედრაში, რომელიც ვეიკ-ან-ზეეში (ჰოლანდია) მიმდინარეობს, უკანასკნელი, მერვე პარტიის წინ საკმაოდ მოულოდნელად ლიდერობდა დოლმატოვი. ბოლო პარტია იუსუპოვმა მოიგო და „თავი გადაირჩინა“ — 4:4. ახლა, დებულების თანახმად, მეტოქეები ბრძოლას განაგრძობენ. დაინიშნა ორი „სრულმეტრაჟიანი“ პარტია. თუ მათაც ვერ გამოავლინეს გამარჯვებული, მაშინ მეტოქეები შეკვეცილი კონტროლით გაგრძელებენ თამაშს.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა კორჩნოი-საქსისა და გელფან-ნიკოლიჩის მატჩებში. ვეიკ-ან-ზეეში ხუთი შეხვედრის წინ ლიდერობდა კორჩნოი — 3:2, მაგრამ მეექვსეში უნგრელმა დიდოსტატმა ანგარიში გაათანაბრა. ორ დარჩენილ შეხვედრაში ყაიმი აღინიშნა — 4:4.

რამდენჯერმე შეიცვალა სიტუაცია გელფან-ნიკოლიჩის მატჩში, რომელიც სარაევოში მიმდინარეობს. იყო მომენტი, როცა წინ იყო ნიკოლიჩი, უკანასკნელი ჰარტიის წინ უკვე გელფანი ლიდერობდა — 4:3. მერვე პარტიაში იუგოსლავიელმა დიდოსტატმა იმარჯვა, ასე რომ, ბრძოლა გრძელდება.

დიდი სიმწვავით გამოირჩევა ასპარეზობა ლონდონში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ინგლისელი დიდოსტატები შორტი და სპილმენი. ეს მატჩი სხვებზე გვიან დაიწყო. შორტმა მოიგო პირველივე პარტია, მაგრამ შემდეგ ინიციატივას სპილმენი დაეუფლა. ხუთი პარტიის შემდეგ წინ სწორედ სპილმენი იყო — 3:2, მაგრამ შორტმა მოიგო მეექვსე პარტია და გაათანაბრა ანგარიში. ეს მატჩი მართლაც რომ დრამატულია.

რეიტინგი 1 ივლისამდე

ფიდე-მ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების „რეიტინგ-ლისტი“ (ძალთა შედარებითი ნუსხა), რომელიც 1991 წლის 1 ივლისამდე იმოქმედებს. მასში გათვალისწინებულია მოჭადრაკითა ყველა შედეგი 1990 წლის 1 დეკემბრამდე.

ქალები: 1. იუდით პოლგარი — 2540; 2. ჟუჟა პოლგარი (ორივე — უნგრეთი) — 2510; 3. მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე — 2480; 4-5. ნანა იოსელიანი (ორივე —საბჭოთა კავშირი) და პია კრამლინგი (შვეცია) — 2470; 6. სიუ ჟენი (ჩინეთი) — 2460; 7. მსოფლიო ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი — 2450; 8. ქეთევან არახამია — 2440; 9. ალისა გალიამოვა (სამივე — საბჭოთა კავშირი) — 2435; 10-11. ალისა მარიჩი (იუგოსლავია) და სოფია პოლგარი (უნგრეთი) — 2425.

ვაჟები: 1. მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი — 2800; 2. მსოფლიო ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი — 2725; 3. ბორის გელფანდი — 2700; 4. ვასილი ივანჩუკი — 2695; 5-7. ევგენი ბარეევი, მიხეილ გურევიჩი, იან ელვესტი — 2650; 8-9. ვალერი სალოვი, ლეონიდ იუდასინი (ყველა — საბჭოთა კავშირი) — 2645; 10-13. ულფ ანდერსონი (შვეცია), ალექსანდრე ბელიავსკი, ალექსანდრე ხალიფმანი, (ორივე — საბჭოთა კავშირი), გატა კამსკი (აშშ) — 2640; 14-16. ვისვანათჰან ანანდი (ინდოეთი), ნაიჯელ შორტი (ინგლისი), იან ტიმანი (ჰოლანდია) — 2630; 17. ალექსეი დრეევი (საბჭოთა კავშირი) — 2625; 18-21. პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია), რობერტ ჰიუბნერი (გერმანია), ოლეგ დოლმატოვი, ალექსეი ეპიშინი (ორივე — საბჭოთა კავშირი) — 2620; 22-23. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ალექსეი შიროვი (საბჭოთა კავშირი) — 2615 და ა. შ.

„რეიტინგ-ლისტში“ გათვალისწინებული არ არის მსოფლიო პირველობაზე კასპაროვ-კარპოვის მატჩის შედეგი.

„ტოტალური კოშმარი“ მოედანზე

ეს არ იყო ამერიკის სტუდენტთა კალათბურთისთვის ტიპიური შემთხვევა. სხვათა შორის, რადიოკომენტატორმა მაიკ მერფიმაც გადაცემა ასეთი სიტყვებით დაამთავრა: „სულ რამდენიმე წუთის წინ, ჩვენი გავხდით მოწმენი ტოტალური კოშმარისა, რომლის მსგავსი მე, მაგალითად, არასდროს მინახავს“.

არადა, ფლეტ-რივერისა (მასურის შტატი) და კარტერვილის (ილინოისის შტატი) კოლეჯების კალათბურთელთა შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა არა ჰქონდა. ბრძოლაც საკმაოდ მშვიდად მიმდინარეობდა. ერთგვარ უპირატესობას მისურელები ფლობდნენ. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მეტოქე დამარცხებას შეურიგდა. მაგრამ...

მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ილინოისელმა რალფ ჰეგლიმ უძლიერესი დარტყმით ძირს დასცა კევინ ტრუმენი. რამდენიმე წამის შემდეგ ტრუმენმა გაიმეორა იგივე და ახლა უკვე ჰეგლი გაიშლართა მოედანზე. ეს ინციდენტი ტოტალური ჩხუბის სიგნალი გამოდგა. თავდაპირველად, ბრძოლაში ჩაებნენ გუნდების ძირითადი წევრები, მერე მათ აჰყვნენ დუბლიორები და ბოლოს ხელჩართულ ბრძოლაში მწვრთნელები, მასაჟისტები და კლუბების ხელმძღვანელებიც ჩაებნენ. მაიკ მერფის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კოშმარი 5 წუთს გრძელდებოდა ცვალებადი უპირატესობით და შეწყდა პოლიციელთა აქტიური ჩარევის შემდეგ“...

გამარჯვება ამ მატჩში მისურელებს დარჩათ — 104:101, ოღონდ თამაში ორმა მისურელმა და სამმა ილინოისელმა კალათბურთელმა დაამთავრა. დანარჩენები კი გამვეკუნული იყვნენ არა თუ მოედნიდან, არამედ დარბაზიდანაც.

დოპინგი და... მსოფლიო რეკორდები

ეკლეზიასტი საერთაშორისო ფედერაციამ აკრძალული პრეპარატების ხმარებისათვის შარშან სხვადასხვა ვადით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ოცდაათზე მეტ საერთაშორისო კლასის სპორტსმენს.

სკანდალური ხასიათი მიიღო ლარი მირიკსის „საქმემ“, რომლის შესახებაც საკმაოდ ბევრს წერდა უცხოეთის პრესა. ოთხი ოლიმპიადის მონაწილე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (დარბაზებში), სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში, მხილებული იქნა ფენილპროპალამინის ხმარებაში გასულ ზამთარს ჰამილტონში (კანადა), სევილიასა და ნიუ-იორკში გამართულ შეჯიბრებებზე.

პირველი „სკანდალის“ შემდეგ მირიკსმა სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, მერე — ორწლიანი. მესამედ კი — სამუდამო. თანაც ორჯერ მან უარი თქვა სასამართლოში გამოცხადებაზე და ამით, ფაქტობრივად, აღიარა თავისი დანაშაული...

მას შემდეგ გავიდა დრო, დაიწერა უამრავი პროტესტი, საქმე გადაისინჯა რამდენჯერმე და ბოლოს მირიკსი გამართლდა. ეს მართლაც უნიკალური შემთხვევაა. ერთადერთი მძლეოსანი, რომელსაც დამარცხებული ჰყავს სიგრძეზე ხტომაში თვით კარლ ლუისი (10 წლის წინ) კვლავ შეძლებს სტარტზე გამოსვლას. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ეს მოხდება დისკვალიფიკაციის წლისთავზე — 13 აპრილს, აშშ-ის რომელიმე დარბაზში.

მირიკსისგან განსხვავებით, სხვა დამნაშავეები „სასჯელს“ მორჩილად იხდიან (ზოგმა უკვე მოიხადა კიდეც). ესენია, მძლეოსანთა წრეში საკმაოდ ცნობილი ბატჩ რეინოლდსი, რენდი ბარნსი, გრეგ ფოსტერი, ჰენრი მარჩი, მაიკ სტულცი (ყველა — აშშ), თამარა ბიკოვა, ალექსანდრე მარკინი, ლარისა ნიკიტინა (ყველა — სსრკ), ლუის დელისი (კუბა) და სხვ.

მთავარმა დამნაშავემ, კანადელმა ბენ ჯონსონმა კი, როგორც ცნობილია, უკვე მოიხადა სასჯელი და მიმდინარე სეზონში რამდენჯერმე იასპარეზა. სხვათა შორის, ამას წინათ, ჟურნალისტებთან საუბარში ჯონსონმა განაცხადა, რომ აქვს სამი უმთავრესი მიზანი: დაამარცხოს კარლ ლუისი სარბენ ბილიკზე, დაიბრუნოს მსოფლიოს რეკორდი და ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვოს სპრინტში. შარშანდელ სეზონში დისკვალიფიცირებულთაგან მსოფლიო რეკორდი შარშანვე დამყარებული ჰქონდა მხოლოდ ბარნსს (როგორც ცნობილია, ლონ-ანჯელესის საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც 1990 წელს გაიმართა, მან ბირთვი 23 მ. და 12 სანტიმეტრზე ჰკრა).

მსოფლიო რეკორდებზე ჩამოვარდა სიტყვა და უნდა აღვნიშნოთ, რომ 1990 წელს ამ მხრივ გამორჩეული იყო ვაჟთა შუბის ტყორცნა. უმაღლესი მიღწევა ამ სახეობაში გაუმჯობესდა ოთხჯერ და „რეკორდთა ცვენას“ წერტილი საბოლოოდ ინგლისელმა სტივ ბაკლიმ დაუსვა — 90 მ. 98 სმ. გარდა ბაკლისა, მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: შვედი პატრიკ ბოდენი და ჩეხოსლოვაკიელი იან ჟელეზნი.

შარშან მსოფლიო რეკორდები გაუმჯობესდა, აგრეთვე, ვაჟთა ესტაფეტაში 4X100 მეტრზე (საფრანგეთის ნაკრები — 37.79), 300 მეტრზე რბენაში (ამერიკელი დენი ევერეტი და კუბელი რობერტო ერნანდესი — 31,48), ქალთა 1000 მეტრიან დისტანციაზე (გერმანელი კრისტინა ვაჰტელი — 2.30,67), ქალთა სამხტომში (ჩინელი ლი ხუეიუნი), ქალთა სპორტულ სიარულში 3 და 5 კილომეტრზე (ავსტრალიელი კერი სექსბი) და 10 კილომეტრიან დისტანციაზე (საბჭოთა მძლეოსანი ნადეჟდა რიაბკინა).

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი. კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ზომერიკი.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს — სპორტსახკომი და ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაცია თანაუგრძნობენ ხელბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს თ. ჩხარტიშვილს დედის

ძაბული მეუნარგიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ყურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საქმიანლის“ სტამბა. თბილისი, 8. კოსტავის ქ., 26. ოფსეტური წესით სიგნალი ეკისაკენ, ბიბლიოგრ. ქ. 29. 1